იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 (32) 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 79 „22" „აგვისტო" 2020 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" და „ვ" ქვეპუნქტებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცვლილება შევიდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში და 3.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.2. ამბროლაურის, ახალქალაქის, წალკის, მარნეულის, მესტიის, საჩხერის, დუისის, ცაგერის, ყაზბეგის, დმანისის, მარტვილის, შუახევის, ხაშურის, ბორჯომის, წალენჯიხის, ახმეტის, წყალტუბოს, ტყიბულის, დედოფლისწყაროს, ჭიათურის, ხობის, აბაშის, ონის, გარდაბნის, ბოლნისის, ჩხოროწყუს, ლაგოდეხის, ხარაგაულის, დუშეთის, ბაღდათის, ქარელის, მარტვილის, თიანეთის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, სენაკის, სამტრედიის, ადიგენის, ხონის, ჩოხატაურის, ლენტეხის, ქობულეთის, ყვარლის, ასპინძის, ქედას, ხულოს, ვანის, საგარეჯოსა და კასპის საკონსულტაციო ცენტრები";

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-11 მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) განახორციელის წარმომადგენლობა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სპეციალიზაციის შესაბამისად ან სამსახურის დირექტორის გადაწყვეტილებით კონსულტაცია გაუწიოს მოქალაქეებს. წარმომადგენლობის განხორციელებისას ან კონსულტაციის გაწევისას, ბიუროს უფროსის დატვირთულობა ყოველთვიურად უნდა იყოს შესაბამისი ბიუროს ადვოკატის/კონსულტანტის დატვირთულობის არანაკლებ 30%-ი. სამსახურის დირექტორის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, იურიდიული დახმარების საბჭომ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება ბიუროს უფროსის ამ პუნქტით დადგენილი წესისაგან განსხვავებული წესით დატვირთულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.“

4. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-11 მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ[1]) საქმიდან აცილების შესახებ ადვოკატის დასაბუთებული მიმართვის შემთხვევაში (გარდა სასამართლოს მიერ ადვოკატის აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა) მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების შესახებ.“

5. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-11 მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[2]“ ქვეპუნქტი:

„ბ[2]) საქმიდან აცილების შესახებ ადვოკატის მიმართვის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოახდინოს საქმეში ბიუროს სხვა ადვოკატის ჩართვა ან ამ დებულების 25-ე მუხლის მე-3

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმართოს სამსახურის დირექტორს დასაბუთებული განცხადებით მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვის შესახებ თანხმობის მისაღებად.“

6. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-11 მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი[1]“ ქვეპუნქტი:

„ი[1]) მოთხოვნის შემთხვევაში, ხარისხის შეფასების სამმართველოს მიაწოდოს ინფორმაცია ბიუროს წარმოებაში არსებული საქმეების მიმდინარეობისა და ადვოკატთა სამუშაო გრაფიკის შესახებ.“

7. ცვლილება შევიდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამსახურის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმით, წესითა და ვადაში, ბიუროს უფროსს მიაწოდოს ინფორმაცია მის წარმოებაში არსებული საქმის მიმდინარეობისა და სამუშაო გრაფიკის თაობაზე.“

8. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ[1]“ ქვეპუნქტი:

„გ[1]) ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის არსებობისას დაუყონებლივ წარუდგინოს ბიუროს უფროსს დასაბუთებული განცხადება ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების შესახებ და მოახდინოს საქმიდან ჩამოცილება მხოლოდ ბიუროს უფროსის თანხმობის შემთხვევაში (გარდა სასამართლოს მიერ ადვოკატის აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა).“

9. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) შეასრულოს/აღასრულოს დებულებით, შინაგანაწესით, სამუშაო აღწერილობით, იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, დირექტორის ბრძანებითა და სამსახურის სხვა აქტებით დადგენილი დებულებები ან/და ვალდებულებები.“

10. ცვლილება შევიდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რეესტრის ადვოკატს ფიზიკური პირის განცხადების, პროცესის მწარმოებლის მომართვის, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნიშნავს ბიუროს უფროსი (საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი ან მიმწოდებელი) ამ დებულებით დადგენილი წესით.“

11. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4^1 პუნქტი:

„4^1. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბიუროს უფროსი უფლებამოსილია რეესტრის ადვოკატი საქმეში ჩართოს სამსახურის დირექტორის თანხმობით.“

12. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4^2 პუნქტი:

„4^2. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვის შესახებ ბიუროს უფროსის მიმართვის შემთხვევაში, სამსახურის დირექტორი უფლებამოსილია ბიუროს უფროსს მისცეს თანხმობა საქმეში რეესტრის ადვოკატის ჩართვის შესახებ ან საქმე გადასცეს სხვა ბიუროს საწარმოებლად.

13. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

14. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

ზაზა ხარებავა

ბექა ძამაშვილი

პავლე აბაიაძე

ესმა ნორაკია

ირაკლი გვარამაძე

სოფო ჩაჩავა